საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის

განჩინება №3/3/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849

2024 წლის 12 ივლისი

ქ. ბათუმი

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩხილაძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

ვასილ როინიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტუღუში – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელეიშვილი, მარიამ მჭედლიძე და სხვები (სულ 18 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი (2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია), მე-2 და მე-3 ნაწილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბერს კონსტიტუციური სარჩელებით (რეგისტრაციის №832, №833, №834, №835, №836, №837, №838, №839, №840, №841, №842, №843, №844, №845, №846, №847, №848, №849) მომართეს რუსუდან ქარჩავამ, ქეთევან ბაშელეიშვილმა, მარიამ მჭედლიძემ და სხვებმა (სულ 18-მა მოსარჩელემ). №832, №833, №834, №835, №836, №837, №838, №839, №840, №841, №842, №843, №844, №845, №846, №847, №848 და №849 კონსტიტუციური სარჩელები, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადაეცა 2016 წლის 20 სექტემბერს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2016 წლის 11 ნოემბრის №1-3/6/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849 განჩინებით, საქმე განსახილველად გადასცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის №3/7-1/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849 საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელები მიღებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმზე განსახილველად. კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2024 წლის 12 ივლისს.

3. კონსტიტუციურ სარჩელებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები და მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი (2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში“. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები კი ითვალისწინებს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, ისე მათთვის გათვალისწინებული სანქციის სახეს და ზომას.

5. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

6. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. იმ ქმედებისათვის პასუხისმგებლობის აკრძალვის გარანტია, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა და პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

7. კონსტიტუციური სარჩელების თანახმად, არც სადავო ნორმიდან და არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტიდან არ იკვეთება, თუ რა იგულისხმება „გაფლანგვის“ ცნების ქვეშ. აგრეთვე გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშნები – „მართლზომიერი მფლობელობა ან გამგებლობა“ და რა განსხვავებაა მათ შორის. ასევე, რა სხვაობაა „გაფლანგვასა“ და „მითვისებას“ შორის.

8. მოსარჩელეები განმარტავენ, რომ სასამართლო პრაქტიკაში სადავო ნორმის განმარტებასთან მიმართებით არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა. სასამართლოები, ბრალდების ორგანოსთან ერთად, ფაქტობრივად, თავად ითავსებენ კანონმდებლის როლს, რამდენადაც კანონმდებელმა მათ მიანდო სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრის საკითხი. მოსარჩელეები თვლიან, რომ აღნიშნულის გამო ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად ხდება დამოკიდებული სამართალშემფარდებლის ინდივიდუალურ შეფასებაზე.

9. კონსტიტუციურ სარჩელებში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმა, მფლობელობის საკითხის გაურკვევლად, ნორმის შემფარდებელს შესაძლებლობას აძლევს, შეფასების მიღმა დატოვოს გაწეული ხარჯის სანაცვლოდ მიღებული სარგებელი და ისე მოახდინოს ქმედების გაფლანგვად კვალიფიკაცია. ამავდროულად, პროკურატურასა და სასამართლოს სადავო ნორმა აღჭურავს უფლებამოსილებით, თავად განსაზღვრონ, რა სახის ხარჯის გაწევაა ამა თუ იმ ორგანოსთვის მისაღები/დასაშვები და რა – არა.

10. მოსარჩელეები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა თითქოს არაორაზროვნად გამორიცხავს კოლეგიური ორგანოს წევრის დასჯადობის შესაძლებლობას კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მეორე

მხრივ კი, სადავო ნორმის განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, ბრალდების ორგანო და სასამართლო მას პრაქტიკაში იყენებს შერჩევითად, პოლიტიკური ან/და სხვა დისკრიმინაციული საფუძვლით.

11. შესაბამისად, მოსარჩელეების პოზიციით, სადავო ნორმა ვერ აკმაყოფილებს სამართლებრივი განსაზღვრულობის და განჭვრეტადობის პრინციპის მოთხოვნებს, რადგან ის მინიმალურ დონეზეც კი არ შეიცავს დასჯადი ქმედების აღწერას და ნორმის შინაარსის შექმნას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორმის შემფარდებელს მიანდობს.

12. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებს მიაჩნიათ, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მოთხოვნებს.

13. საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მოსარჩელეები იშველიებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

II
სამოტივაციო ნაწილი

1. №832, №833, №834, №835, №836, №837, №838, №839, №840, №841, №842, №843, №844, №845, №846, №847, №848 და №849 კონსტიტუციურ სარჩელებში მოსარჩელეები სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით. მითითებული კონსტიტუციური დებულება ძალადაკარგულია. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას, დასახელებული დებულების ნაცვლად, დაეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის შესატყვის დებულებას.

2. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის განსაზღვრულობის კონსტიტუციური სტანდარტები. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით, პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის განსაზღვრულობის სტანდარტები გათვალისწინებულია 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელებით, სადავოდ გამხდარი ნორმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

4. კონსტიტუციურ სარჩელებში მოსარჩელეები, მათ შორის, სადავოდ ხდიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის (2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას.

5. აღსანიშნავია, რომ №832, №833, №834, №835, №836, №837, №838, №839, №840, №841, №842, №843, №844, №845, №846, №847, №848 და №849 კონსტიტუციური სარჩელების პლენუმზე განსახილველად მიღების შემდგომ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის პირველი ივნისის №944-IIს საქართველოს კანონის პირველი მუხლის 46-ე პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველ ნაწილში. დასახელებული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე კი, აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2018 წლის პირველი იანვრიდან. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის სადავო ნორმის პირველი ნაწილი ძალადაკარგულია. ამასთან, აღნიშნულმა ნაწილმა ძალა დაკარგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე.

6. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა *a priori* არ იწვევს აღნიშნულ ნორმაზე სამართალწარმოების შეწყვეტას, თუ მოსარჩელე მხარე აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმის წარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ითხოვს ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე

მოქმედი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის №3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ვახტანგ მიმინოშვილი, ინვერ ჩოკორაია და ჯემალ მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-10).

7. აღნიშნული მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც, ერთი მხრივ, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მიღებულია უფლების მზღუდავი ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმა, რომელსაც სადავო ნორმის მსგავსად, გააჩნია უფლების შეზღუდვის პოტენციალი, ხოლო, მეორე მხრივ, მოსარჩელე მხარე შუამდგომლობით აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმის წარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

8. თუმცაღა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა გასაჩივრებული ძალადაკარგული ნორმის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს საქმეზე წარმოებას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კანონმდებლობაში ძალადაკარგული ნორმის იდენტური/მსგავსი შინაარსის მქონე დებულება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „№3/6/1547 საოქმო ჩანაწერით დადგენილი საქმისწარმოების გაგრძელების წესი ემსახურება სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღწევას. ბუნებრივია, აზრს მოკლებულია მოსარჩელის პოზიციის გადამოწმება საქმისწარმოების გაგრძელების ინტერესთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც სარჩელის ხსენებულ ნაწილთან მიმართებით, არსებობს არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/15/1462 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მათ შორის, შეაფასებს, რამდენად არსებობს სასარჩელო მოთხოვნის ზემოაღნიშნულ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

9. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. განსახილველ კონსტიტუციურ სარჩელებზე მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია არსებითად მიემართება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში გამოყენებული ტერმინების განუჭვრეტელობის პრობლემას, რითაც, მოსარჩელეთა მტკიცებით, კანონმდებელი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორმის შემფარდებელს მიანდობს მისი შინაარსის შექმნის შესაძლებლობას. ამ მხრივ, მოსარჩელეები აბსტრაქტულად მიუთითებენ სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნების არგუმენტზეც. დამატებით, მოსარჩელე მხარე აპელირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომაზე, რომლის შესაბამისადაც, თითქოს გამოირიცხება იმ თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა, როგორც კოლეგიური ორგანოს წევრი, თუმცა ნორმა, განუჭვრეტელი შინაარსის გამო, პრაქტიკაში გამოიყენება შერჩევითად, დისკრიმინაციულად.

11. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 7 ივნისს მიიღო №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (შემდგომში, №3/1/740,764 გადაწყვეტილება), რომელშიც, მათ შორის, სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქციის 182-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. განსახილველ საქმეზე მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, მათ შორის, სადავო ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობის ისეთი ელემენტების ბუნდოვანებაზე, როგორებიც არის „გაფლანგვა“, „მართლზომიერი მფლობელობა ან განმგებლობა“. იმავდროულად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, უშვებდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

12. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილებაში მიმოიხილა მისი პრაქტიკით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების განჭვრეტადობის სტანდარტები და მიუთითა, რომ აბსტრაჰირების გარკვეული ხარისხით შემუშავებული ნორმების პასუხისმგებლობის დამდგენ საკანონმდებლო სივრცეში არსებობა *per se* არაკონსტიტუციური არ არის. ამ თვალსაზრისით, განჭვრეტადობის კონსტიტუციური სტანდარტი დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაშიც, თუ ნორმის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და დარგის სპეციალისტების დახმარებით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35).

13. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა ნორმათა განმარტების პროცესში საერთო სასამართლოების განსაკუთრებულ როლზე და მათ მიერ ნორმის ერთგვაროვნად განმარტებაზე, როგორც ნორმის განჭვრეტადობის უმთავრეს ინდიკატორზე. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომ, კიდევ ერთხელ, აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების ზოგადი ფორმულირებით შემუშავება არაკონსტიტუციურად მიიჩნევა ისეთ შემთხვევაში, „როდესაც მათ შინაარსთან და განმარტება-გამოყენებასთან დაკავშირებით: (ა) არსებობს საერთო სასამართლოების განსხვავებული/ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა; (ბ) საერთო სასამართლოების პრაქტიკის ცვლილების შედეგად, სამართლის ნორმის ახლად ჩამოყალიბებული ნორმატიული შინაარსი გავრცელდება ამ განმარტებამდე ჩადენილ ქმედებებზე ან/და (გ) პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სადავო ნორმის ზედმეტად ფართო, წინასწარ განუსაზღვრელი განმარტების შედეგია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23).

14. სადავო ნორმის განჭვრეტადობის საკითხის გადასაწყვეტად, ზემოხსენებული სტანდარტების ჭრილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რის საფუძველზეც გამოიკვეთა ის ძირითადი ელემენტები, რომელთა პირობებშიც დასაშვებია ქმედების გაფლანგვად კვალიფიცირება. კერძოდ, „ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით კვალიფიცირებისათვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენს ის, რომ (ა) დამნაშავეს გააჩნდეს უფლებამოსილება, ჰქონდეს ქონება მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში; (ბ) დამნაშავე ქონების მართლზომიერ მფლობელობას ახორციელებდეს ქონების მესაკუთრესთან სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ისეთი გამოხატულებით, როგორიცაა სამსახურებრივი მოვალეობა; (გ) დამნაშავეს გააჩნდეს ფაქტობრივი შესაძლებლობა, განახორციელოს ამ ქონების განკარგვის უფლებამოსილება; და (დ) დამნაშავე ითვალისწინებდეს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურდეს ამ ზიანის დადგომა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49).

15. დასახელებული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „ქმედების გაფლანგვად მიჩნევისათვის განმსაზღვრელ ფაქტორს გაფლანგული სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების განკარგვის სამართლებრივი და ფაქტობრივი შესაძლებლობის ელემენტების თანაარსებობა წარმოადგენს. იმ შემთხვევაში კი, თუ არ არსებობს ზემოხსენებული კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი, მათ შორის, არ დასტურდება სხვისი ნივთის ან ქონების განკარგვის სამართლებრივი უფლებამოსილების არსებობა, გამოირიცხება ქმედების გაფლანგვად კვალიფიცირება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49).

16. №3/1/740,764 გადაწყვეტილებაში აგრეთვე აღინიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ერთგვაროვანია სხვისი ქონების ან ნივთის მართლსაწინააღმდეგო განკარგვის ცნების შინაარსთან დაკავშირებითაც. „გაფლანგვა გულისხმობს პირის მიერ, სხვადასხვა (მართლზომიერი ან არამართლზომიერი) განზრახვით, მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სხვისი ნივთის/ქონებრივი უფლების ნებისმიერი არამართლზომიერი ფორმით გასხვისებას, მათ შორის, წინასწარი განზრახვით არამიზნობრივ განკარგვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ“, II-51).

17. ამავე გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე დაასკვნა, რომ იმისგან განურჩევლად, დანაშაული ჩადენილია ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, „სადავო ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია, გაფლანგვის დანაშაულის ამსრულებელს გაფლანგვას დაქვემდებარებულ სხვის ნივთთან/ქონებრივ უფლებასთან მიმართებით, გააჩნდეს ფორმალური უფლებამოსილება და ფაქტობრივი შესაძლებლობა, განახორციელოს აღნიშნული ნივთის/ქონებრივი უფლების განკარგვა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-51).

18. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობის ყველა ის ელემენტი, რომლის ბუნდოვანებაზეც №740 და №764 კონსტიტუციურ სარჩელებში მოსარჩელეები აპელირებდნენ, მათ შორის, „გაფლანგვისა“ თუ „მართლზომიერი მფლობელობის ან გამგებლობის“ ცნებების შინაარსი, ერთგვაროვნად არის განმარტებული/გამოყენებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში.

19. საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილებაში აგრეთვე იმსჯელა იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმის შინაარსის არაერთგვაროვნად განმარტებასა და გამოყენებას არ ადასტურებს სხვადასხვა სიტუაციასა და სამართლებრივ საკითხთან მიმართებით ერთი და იმავე ნორმით განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დაყენების ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მიიჩნია სამოსამართლო ფუნქციის არსისა და ინდივიდუალიზებული მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ჩვეულ, თავისთავად მახასიათებლად. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის არაერთგვაროვანი განმარტების შემთხვევა შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც საერთო სასამართლოები განსხვავებულად განმარტავენ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის საჭირო ელემენტებს, თუმცა აღნიშნული გარემოების არსებობა თავად სადავო ნორმასთან მიმართებით არ დადგინდა. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ბუნებრივად მიიჩნია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ შეიძლება დადგენილად მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს კონკრეტულ საქმეზე ამა თუ იმ ელემენტის, მაგალითად, სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლზომიერი მფლობელობის ან გამგებლობის ფაქტის არსებობა, რაც სადავო ნორმის შინაარსის არაერთგვაროვნად განმარტებასა და გამოყენებაზე არ მიუთითებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52).

20. დამატებით, აღსანიშნავია, რომ განსახილველ კონსტიტუციურ სარჩელებზე მოსარჩელეები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ქმედების გაფლანგვად კვალიფიცირებისას, სადავო ნორმა მის შემფარდებელს შესაძლებლობას ანიჭებს, შეფასების მიღმა დატოვოს გაწეული ხარჯის სანაცვლოდ მიღებული სარგებელი. გარდა ამისა, სადავო ნორმა, პროკურატურასა და სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, თავად განსაზღვრონ, რა სახის ხარჯის გაწევაა ამა თუ იმ ორგანოსთვის მისაღები/დასაშვები და რა – არა.

21. ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომ №3/13740,764 გადაწყვეტილებით, უპირველეს ყოვლისა, დაასკვნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, ერთგვაროვნად დასტურდება, რომ გაფლანგვა გულისხმობს, მათ შორის, გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სხვისი ნივთის/ქონებრივი უფლების ნებისმიერი არამართლზომიერი ფორმით გასხვისებას, მათ შორის, წინასწარი განზრახვით არამიზნობრივ განკარგვას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-51). შემდგომში კი განმარტა, რომ „მოსარჩელე მხარეს გააჩნია უფლებამოსილება, გაასაჩივროს სახელმწიფოს მხრიდან ცალკეული ქმედებების კრიმინალიზების მართებულობა, მათ შორის, იდავოს იმაზე, პირის მიმართ უნდა დგებოდეს თუ არა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში/მიზანშეწონილობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ან/და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისათვის, ისევე, როგორც ანგარების მოტივის არარსებობის

პირობებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს არა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით გადასაწყვეტ საკითხს, არამედ საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულების ფარგლებში შესაფასებელ მოცემულობას, რომლით დაცული ქმედების განხორციელებისთვისაც პირს, სადავო ნორმის საფუძველზე, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-53). ამგვარად, მოცემულ შემთხვევაშიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, ერთი მხრივ, კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგო განკარგვის ერთ-ერთ ფორმად, ხოლო, მეორე მხრივ, ის, უნდა იწვევდეს თუ არა ცალკეული ქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, არ განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ფარგლებში შესაფასებელ საკითხს.

22. შესაბამისად, იკვეთება, რომ სადავო ნორმის განჭვრეტადობის კუთხით, მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილების ფარგლებში. აღნიშნულს მიღმა, სადავო ნორმის განჭვრეტადობის კონსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, კონსტიტუციურ სარჩელებში არ არის იდენტიფიცირებული რაიმე დამატებითი პრობლემური საკითხი, რომელიც სასამართლოს დასახელებულ გადაწყვეტილებაში არ შეუფასებია. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/1/740,764 გადაწყვეტილებაში გამოთქმულ სამართლებრივ პოზიციას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21^1 მუხლის გამოყენების საჭიროება.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სახეზეა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

24. იმავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი (2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია), ქმედების შემადგენლობის განსაზღვრის გარდა, აგრეთვე ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სახეს და ზომას – ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სარჩელების ფარგლებში, მოსარჩელეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია სრულად მიემართება პასუხისმგებლობის დამფუძნებელი ქმედების შემადგენლობის ნიშნების განჭვრეტადობის საკითხს. მოსარჩელეებს არ წარმოუდგენიათ არგუმენტაცია სადავო ნორმით დადგენილი პასუხისმგებლობის სახის და ზომის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელები აღნიშნულ ნაწილში დაუსაბუთებელია და არსებობს კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31^1 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც არსებობს კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები და, ამავე დროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი ძალადაკარგულია, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, კონსტიტუციურ სარჩელებზე, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის (2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით, საქმე უნდა შეწყდეს.

26. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

„კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს“. ამავე კანონის 31^1 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება კონსტიტუციურ სარჩელში იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი ჩაითვლება დაუსაბუთებლად და არ მიიღება არსებითად განსახილველად.

27. კონსტიტუციურ სარჩელებში აგრეთვე სადავოდაა გამხდარი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმის დასახელებული დებულებები ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს და მათთვის გათვალისწინებული სანქციის სახეს და ზომას.

28. როგორც აღინიშნა, მოსარჩელეების მიერ კონსტიტუციურ სარჩელებში იდენტიფიცირებული პრობლემა და წარმოდგენილი არგუმენტაცია სრულად მიემართება სადავო ნორმით დანაშაულად მიჩნეული ქმედების შემადგენლობის ელემენტების განჭვრეტადობის საკითხს. კონსტიტუციურ სარჩელებში მოსარჩელეებს არ წარმოუდგენიათ არგუმენტაცია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების ან/და ქმედებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახისა და ზომის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ზემოაღნიშნულ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელები დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31^1 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

III
სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^1 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 31^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31^2 მუხლის მე-8 პუნქტის, 31^3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, 31^5 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, 31^6 მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №832, №833, №834, №835, №836, №837, №838, №839, №840, №841, №842, №843, №844, №845, №846, №847, №848 და №849 კონსტიტუციური სარჩელები („რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელეიშვილი, მარიამ მჭედლიძე და სხვები (სულ 18 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

2. შეწყდეს საქმე №832, №833, №834, №835, №836, №837, №838, №839, №840, №841, №842, №843, №844, №845, №846, №847, №848 და №849 კონსტიტუციურ სარჩელებზე („რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელეიშვილი, მარიამ მჭედლიძე და სხვები (სულ 18 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის (2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი

რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

3. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

4. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 15 დღის ვადაში, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩხილაძე

ხვიჩა კიკილაშვილი

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტუღუში